

# შპს „მიტოკო 2023“

ს/კ 405622642

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2024წ

შპს ბითკო 2023 ს/კ 405622642

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2023

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი  
შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაფუძნდა 2023 წლის 19 მაისს საფირმო სახელწოდებით შპს “მითკო 2023“, იგი დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი - 405622642. ამჟამად კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი დ/დიდმის დასახლ. მე-3 მკრ-ნი კ.34 ბ.21 .

**შპს-ს დამფუძნებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი:**

**გურამ ნარსია - 01024081909 - წილი 100%.**

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: საბითუმო ვაჭრობა საქონლის და ღორის ხორციით და ხორცის პროდუქტებით, საცალო ვაჭრობა ხორციით და ხორცის პროდუქტებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, ხორცის წარმოება და დაკონსერვება,

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

## 3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

## 4. ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რელიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შპს "მითკო 2023"-ში გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

| ფულადი სახსრები                      | 31.12.2023წ | 31.12.2022წ |
|--------------------------------------|-------------|-------------|
| ნაღდი ფული                           | 8489        | 0           |
| ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)        | 47707       | 0           |
| ფული სავალუტო ანგარიშზე (ლარის ექვ.) | 4232        | 0           |
| ჯამი                                 | 60428       | 0           |

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალებები აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდის, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ : • აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა • ფიზიკური ცვეთა, ტექნიკურ და კომერციულ მოძველება, აქტივის გამოყენების შეზღუდვა. საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთ მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადის ცვლილებას, ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შპს მითკო 2023-ის ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სატრანსპ. საშუალებები -- 123135

მანქანა-დანადგარები -- 102591

სხვა ძირ. საშ-ბა -- 5238

სულ ძ/საშუალებები : 230964

## 6. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან, მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. სასაქონლო -მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასის მეთოდით.

შპს მითკო 2023-ის მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (საკლავი) ---140046 (ლარი)

ცოცხალი ღორი (საკლავი) ---245536 (ლარი)

სულ მარაგის ნაშთი --- 385582 ლარის.

## 7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## 8. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრის მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

|                       |             |
|-----------------------|-------------|
| კაპიტალი შპს-ში       | 31.12.2023წ |
|                       | 0           |
| გაუნაწილებელი მოგება  | 841413      |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 841413      |

## 9. ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

## 10. ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს საოპერაციო ხარჯების გაწევას, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

შპს მითკო 2023 ს/კ 405622642

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2023

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

შპს მითკო 2023-ის

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:



გურამ ნარსია

თინა მეზურნიშვილი

## ფინანსური მდგომარეობა

### ფინანსური მდგომარეობა

**31/12/2023**

|                                                             |         |
|-------------------------------------------------------------|---------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 60428   |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 412748  |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 0       |
| მარაგები                                                    | 385582  |
| მზა პროდუქცია                                               | 0       |
| სხვა                                                        | 385582  |
| საინვესტიციო ქონება                                         | 0       |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                  | 0       |
| ბიოლოგიური აქტივები                                         | 0       |
| თვითღირებულების მოდელით                                     | 0       |
| გადაფასების მოდელით                                         | 0       |
| გუდვილი                                                     | 0       |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                | 0       |
| ძირითადი საშუალებები                                        | 230964  |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                           | 0       |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში         | 0       |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                  | 0       |
| სულ აქტივები                                                | 1089722 |

### ვალდებულებები

|                                    |        |
|------------------------------------|--------|
| საიჯარო ვალდებულება                | 0      |
| სავაჭრო ვალდებულებები              | 243542 |
| ანარიცხები                         | 0      |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0      |
| საგადასახადო ვალდებულებები         | 4767   |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი         | 0      |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები    | 0      |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები    | 0      |
| მიღებული გრანტები                  | 0      |
| სხვა ვალდებულებები                 | 0      |
| სულ ვალდებულებები                  | 248309 |

### საკუთარი კაპიტალი

|                                                                                             |         |
|---------------------------------------------------------------------------------------------|---------|
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 0       |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0       |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0       |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 841413  |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0       |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 0       |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 841413  |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | 1089722 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 858758  |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 248309  |



## საქმიანობის შედეგები

### საქმიანობის შედეგები

**31/12/2023**

|                                          |          |
|------------------------------------------|----------|
| ნეტო ამონაგები                           | 9493855  |
| საქონლის გაყიდვიდან                      | 9493855  |
| მომსახურების გაწევიდან                   | 0        |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან             | 0        |
| სხვა                                     | 0        |
| გაყიდვების თვითღირებულება                | -7795405 |
| საწყისი მარაგები                         | 0        |
| მარაგების შესყიდვა                       | 0        |
| გადამუშავების დანახარჯები                | 0        |
| საბოლოო მარაგები                         | 0        |
| საერთო მოგება                            | 1698450  |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი               | 0        |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | -106221  |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი               | -31567   |
| საპროცენტო შემოსავალი                    | 0        |
| საპროცენტო ხარჯი                         | 0        |
| იჯარის ხარჯი                             | -35882   |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -683367  |
| სულ საოპერაციო ხარჯები                   | -857037  |
| საოპერაციო მოგება                        | 841413   |

### გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

|                                                                                                |        |
|------------------------------------------------------------------------------------------------|--------|
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                             | 0      |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                       | 0      |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                     | 0      |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 0      |
| მიღებული დივიდენდები                                                                           | 0      |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                        | 0      |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                       | 841413 |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                      | 0      |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                                         | 841413 |

### სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

|                                                                                                                |        |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                                    | 0      |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გ.      | 0      |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                                         | 0      |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                            | 841413 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                            | 0      |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზ | 0      |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                 | 0      |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                          | 0      |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                      | 0      |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                 | 841413 |



## ფულადი სახსრების მოძრაობა

### ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2023

|                                                                                                        |       |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|-------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | 60428 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0     |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | 0     |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | 60428 |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | 0     |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 0     |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 60428 |

